

ბრემსტოკერის დრაკულაროგორც ჰანიბალის თავდაპირველი აზიზი


ბექა ბიძინაშვილი

ჰანიბალ ლექტერი არის თომას ჰარისის წიგნების: *ჰანიბალი*, *კრავთა დუმილი*, *წითელი დრაკონი* – მთავარი პერსონაჟი. თომას ჰარისისა და ბრემ სტოკერის პერსონაჟს, დრაკულას, შორის არის მკრთალი, მაგრამ საკმაოდ გამოკვეთილი მსგავსებები. ამ ნაშრომის მიზანია: ეს მსგავსება გადმოიტანოს წინა პლანზე, დააკავშიროს ეს პერსონაჟები(და, ზოგადად, ტექსტები) და მკითხველს ახალი კუთხით დაანახოს ორი ფანტასტიკური სამყარო.

უწინარესად, უნდა გამოიკვეთოს მთავარი მსგავსებები მოცემულ ტექსტებს შორის – ინსტინქტები, რომელთა საშუალებითაც მიიღწევა მძაფრი სიუჟეტი და იქმნება დამაჯერებელი ანტაგონისტის(უმეტესწილად ბოროტმოქმედის) სახე: თავდასხმა და გაქცევა (ლათ. Crimen) – საკუთარი ან სხვა ჯიშის მტრებთან კონფლიქტის შედეგად; გამოკვება (ლათ. Fructus) – საკვების მოპოვება და მემკვიდრეობის აღზრდა; გამრავლება (ლათ. Sexus) – მიმზიდველი პარტნიორის შერჩევა(კოხი 1993, 45-46).



გამოსახულება 1. Bloodshed. Crimen + Sexus + Fructus



გამოსახულება 2. დანტე და ვერგილიუსი ჯოჯობეთში, უილიამ ბუგერო. Crimen + Fructus + Sexus(?)

ჰანიბალ ლექტერი ამ სამ ინსტინქტს ხშირად ერთმანეთში აღრევს და ისე ავლენს, რაც კიდევ უფრო საინტერესოს ხდის როგორც მკითხველისათვის, ისე – პერსონაჟებისთვის. გამოკვების ინსტინქტი ჰანიბალ ლექტერის შემთხვევაში მუდმივად ფიგურირებს – იგი კანიბალია, იკვებება ადამიანის ხორციით, მაგრამ, ამასთანავე, იგი ზრდის „მემკვიდრეებსაც“. საუცხოოდ მომზადებული კერძებით, რომლებშიც ადამიანის ხორცი ურევია, უმასპინძლდება სტუმრებს, ე.ი. მათი ნების გარეშე გარდაქმნის კანიბალებად. შეიძლება ითქვას, რომ ეს არის Fructus + Crimen კომბინაცია, რადგან იგი არათუ იკვებება და კვებავს სხვებს, არამედ ამ უკანასკნელით ძალადობს კიდევ ამხანაგებზე – აკეთებინებს იმას, რაც მათი მორალის წინააღმდეგ მიდის.

ამბავში გვხვდება Crimen ინსტინქტი, რომელიც გულისხმობს თავდასხმა-თავდაცვას. პროდუქტის მოსაპოვებლად ჰანიბალს უწევს როგორც ნადირობა, ისე თავდაცვა. მსხვერპლს არჩევს იმის მიხედვით, რომელია უფრო არაეთიკური, მაშასადამე – „დაბალი ფენის“, უღირსი სასიცოცხლოდ და გამოსადეგი მხოლოდ საკვებად: „ჩვენს კანიბალს უყვარს ქალები. მას არ უნდა მათი განადგურება, მას

სურს მათი შთანთქმა. ამ გოგოს მკვლელი კი ფიქრობდა, რომ იგი ღორი იყო“ (ჰანიბალი 2013). ჰანიბალი ხშირად ავლენს ჩასაფრებული ან მჯდომარე/მომლოდინე მტაცებლის ჩვევებს: იგი სრულად ეყრდნობა მოხერხებულობას, შორიდან უყურებს მსხვერპლს და ელოდება, როდის იქნება დაუცველი, რათა შემდეგ მოულოდნელად დაესხას თავს ზურგიდან. ამბავში მიმდინარეობს გამოძიება: პოლიცია ეძებს სერიულ მკვლელს(რომელიც ჰანიბალია), მაგრამ იგი ყოველ ჯერზე უსხლტებათ ხელიდან, იმდენად ოსტატურად მოქმედებს.

Sexus ინსტინქტი ვლინდება როგორც რომანებში, ისე ეკრანიზირებულ ვერსიაში. რომანებში ჰანიბალ ლექტერი დაინტერესებულია აგენტი კლარის სტარლინგით, მიზიდულია მის მიმართ სექსუალურად: „შეეძლო მას ყოველდღიურად ეგრძნო დაუოკებელი შიმშილი მის მიმართ? და დაენაყრებინა მადა დანახვისთანავე? ვფიქრობ, კი“ (ჰანიბალი 2001). სერიალში ჰანიბალის თანამეცხედრე ალანა ბლუმია, მაგრამ ნამდვილი ლტოლვა უილ გრეჰემის მიმართ აქვს. აღსანიშნავია, რომ უილ გრეჰემის მიმართ აქტიურია არამხოლოდ Sexus ინსტინქტი, არამედ Fructus და Crimen-იც კი. იგი ზემოქმედებს უილ გრეჰემზე – უნერგავს ან ეხმარება, დაინახოს შინაგანი ბნელი (აღზრდა/იდეოლოგიის გავრცელება); კვებავს ადამიანის ხორციით (გამოკვებვა); ხშირად აგდებს უილს სახიფათო სიტუაციაში და თავადვე უჭრის მუცელს (Crimen).



გამოსახულება 3. Fructus + Sexus. კადრი ფოკუსირდება ისე, რომ გამოხატოს სექსუალური კავშირი



გამოსახულება 4. Crimen + Fructus + Sexus. თავდასხმა, გამოკვება, ინტიმურობა.

დრაკულა ნადირობს ადამიანებზე, ხოცავს მათ და მიმართავს ჩასაფრებული მტაცებლის ინსტინქტს – ელოდება და ჩუმად ეპარება მსხვერპლს, მაგ.: გადაიქცევა კვამლად და ისე ესხმის თავს:

ნისლი კვამლისა და ორთქლის ბოლქვების სახით ფანჯრიდან კი არ შემოდის, არამედ ჭუჭრუტანიდან. ნისლი კიდეც უფრო შესქელდა და შეგროვდა ღრუბლის სვეტის სახით, რომლის წვერშიც აირმაშუქის სინათლე შემოდო გამერჩია, რაც წითელი თვალივით ენთო (სტოკერი 327).

დრაკულა კლავს და მსხვერპლის სისხლით იკვებება – ეს Crimen + Fructus კომბინაციაა. ამასთანავე, მკვლელობის/სისხლის წოვის ხერხი საუცხოოა: იგი კბენს ყელზე, რაც აღძრავს ინტიმურობის შთაბეჭდილებას; მის მსხვერპლ ქალებში კი ვნებები იღვიძებს: „ქერათმიანი მუხლებზე დაეშვა და ჩემკენ გადმოიხარა. იგი სულ უფრო მეტად იხრებოდა და ცხოველივით ილოკავდა ტუჩებს“ (სტოკერი 50). მამასადამე, დრაკულას ინსტინქტური აგებულება არის: Fructus + Crimen + Sexus.

ბრემ სტოკერის რომანში ხაზგასმულია ქალის როლი და მისი სიძლიერე – სანამ მამრი პერსონაჟები გაცემულები და არარაციონალურები არიან, ქალები ირგებენ კაცების როლს და იქცევიან სიტუაციის შესაფერისად.

თომას ჰარისის რომანში – და თუნდაც ევრანიზაციაში – კლარის სტარლინგს ავალევენ ჰანიბალისაგან ინფორმაციის გამოძალვის, შემდეგ ბუფალო ბილის პოვნასა და დამარცხების, და ჰანიბალის ციხიდან გაქცევის შემდეგ – მისი დაკავების საქმეებს.

ბრემ სტოკერთან გვხვდება რელიგიური სიმბოლიკა, მაგალითად, ჯვრის დატვირთვა – უწმინდურის განდევნის ან მისგან დაცვის სიმბოლო. დრაკულა ირგებს ეშმაკის როლსაც: (a) აქვს ზებუნებრივი ძალები, (b) წლებს ატარებდა განდევილად, ცივ, კლდოვან, ღვთისა და კაცისაგან მიტოვებულ ადგილას, (c) ადამიანებს აცდუნებს და აღუძრავს ვნებებს, (d) ადამიანებს ამხეცებს და სისხლის მსმელ არსებებად გარდაქმნის. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ბოლო ორი მახასიათებელი, რადგან დრაკულა საფრთხეს წარმოადგენდა არა მხოლოდ საზოგადოებისათვის, არამედ რელიგიისა და მისი მიმდევრებისთვისაც – ქრისტიანებს მარტივად განაწყობდა მოძმეების წინააღმდეგ.

ჰანიბალს ახასიათებდა ღმერთის მაგალითის მოხმობა, როცა ცდილობდა ადამიანში მორალი შეეძრა და ადამიანში ეჭვი ჩაენერგა: „მკვლელობა ღმერთსაც უნდა მოსწონდეს. ის ამას ყოველთვის აკეთებს. და განა ჩვენ მის ხატად არ ვართ შექმნილნი?“ (ჰანიბალი 2013). უილ გრეჰემს ჰანიბალი მიმართავს, როგორც ვაცს, რომლის რისხვაც საზარელი იქნება. თავად ჰანიბალს პერსონაჟები მიმართავენ, როგორც ეშმაკს. სერიალში მკვლელობებს რელიგიური, პირადად ჰანიბალის მკვლელობებს კი – „ხელოვნების დონეზე აყვანილი“ იერსახე აქვს.



გამოსახულება 5. ჰანიბალი ჯვარზე გაკრული (იგი ირგებდა ღვთის როლს, ამიტომაც კვდებოდა, როგორც ღმერთი).



გამოსახულება 6. ჰანიბალისა და ლუციფერის სახე გაერთიანებული, როგორც მისი ეშმაკის მხარის ამსახველი კადრი.



გამოსახულება 7. ანგელოზებად „გარდაქმნილი“ ცხედრები.

გარდა ამ მსგავსებებისა, დოქტორი ლექტერიც და დრაკულაც მიზიდულები არიან მდიდრული, მოქრული ნივთებისაკენ. უყვართ საჭმელის მირთმევა. აქვთ კლასიკური გემოვნება. განსხვავდებიან საზოგადოებისაგან, რის გამოც ხშირად მოისაზრებიან, როგორც ბოროტები. მაგრამ არცერთი მათგანი არაა ბოროტი – დრაკულა სისხლით იკვებება, რადგან სხვაგვარად ვერ გადარჩება. ჰანიბალი ადამიანებით იკვებება, რადგან ბავშვობიდანვე მოუწია ადამიანის ჭამა. ორივე პერსონაჟი გამანადგურებელი ენერგიით დამუხტულია, მაგრამ „ბოროტება მხოლოდ დამანგრეველი ძალაა? თუ ასე მარტივადაა საქმე, ქარიშხალიც ბოროტება ყოფილა [...] წირვის დროს ფასადი სამოცდახუთ ბეზიას დაემხო ზედ. ნეტა ეს ბოროტება იყო? და თუ კი, ვინ ჩაიდინა? თუ ზემოთ ღმერთი მართლა არსებობს, გართობა ჰყვარებია“ (*კრავთა დუმილი*, ჰარისი 31-32). ჰანიბალმა ბავშვობაში ტრავმა გადაიტანა: ტყვეობაში იყო რვა წლის ასაკში, როდესაც მას შიმშილის გამო თავისი პატარა დის, მიშას, შეჭმა მოუწია. მას შემდეგ ფსიქიკა განდაგურებული ჰქონდა და იგი ხოცავდა უხეშ ხალხს, შემდეგ კი ჭამდა მათ ნაწილს, რათა შური ეძია მიშასთვის და მკვლელობის გზით შეჭგუებოდა ტკივილს(ბეთინა გრეგორი 2002, 101). მის მსგავსად, დრაკულა იტანჯებოდა თავისი ავი ბუნებით და სიკვდილმა შეება აგრძნობინა: „რომ არ მენახა ის სიმშვიდე და ის სიხარული პირველი ქალის სახეზე, რაც მასზე აისახა მისი განადგურების წინ, როგორც მტკიცებულება იმისა, რომ სული გადარჩენილია, მე ვერ შევძლებდი ამ სისხლისღვრის გაგრძელებას“ (სტოკერი 470). ჰანიბალ ლექტერი ფსიქიატრი იყო, რომელიც პაციენტებზე უარყოფითად მოქმედებდა, არაორთოდოქსულ მეთოდებს მიმართავდა, ხშირად ჰიპნოზით ურევდა გონებას და მართავდა პაციენტებს. გრაფი დრაკულა პერსონაჟებზე ძალადობდა ფსიქოლოგიურად, მაგ.: ოთახში კეტავდა და არ უშვებდა, რაც თავისუფლების აღკვეთაა. ამასთანავე, დრაკულასაც შეეძლო ჰიპნოზი: “თავისი ჰიპნოზური ძალით მიიზიდავს მათ და მთელ სისხლს გამოსწოვს” (სტოკერი 268). დოქტორსა და გრაფს აკავშირებთ სიმპათია მანიპულაციის მიმართ, მაგრამ ეს სხვადასხვაგვარად გამოვლინდება: დოქტორი ლექტერი ადამიანებზე ზემოქმედებს სიტყვებითა და კარგი მანერებით; დრაკულა ადამიანებზე – კარგი მანერებით, ცხოველებზე კი ზებუნებრივი ძალებით ბატონობს: „მან თავისი გრძელი ხელები გაიშვირა, თითქოს უხილავ წინაღობას

იმორებსო და მგლებმაც ნელ-ნელა დაიხიეს უკან“ (სტოკერი 17); „რას ნიშნავს მისი უნარი ხელის ერთი გაქნევით დააშოშმინოს მგლები“ (სტოკერი 36). დრაკულა გარბის ლონდონში, ლონდონიდან კი ნავით ცდილობს თავის დაღწევას, თუმცა ამას მცდელობა გამოდგება, რადგან დანარჩენი პერსონაჟები კუდში ედევნებიან და ბოლოს ამარცხებენ. ჰანიბალი სერიალში გარბის ფლორენციაში, მაგრამ მას *ეფ ბი აი* კუდში მისდევს. ფილმში ჰანიბალი კლარის სტარლინგისგან ნავით აღწევს თავს, სანამ კლარისი ფსიქოდელიური ნარკოტიკების გავლენის ქვეშაა (პარალელი მინასთან, რომელსაც დრაკულა ჰიპნოზით აკონტროლებდა).

ორ ამბავს შორის მსგავსება შეინიშნება არა მხოლოდ ჰანიბალსა და გრაფ დრაკულას, არამედ სხვა პერსონაჟებს შორისაც.

ლუსი ვესტერნა	ეზიგეილ ჰობსი
ლუსი უმანკო გოგო იყო, რომელიც დრაკულას ემსხვერპლა და თავადვე გახდა ვამპირი	ეზიგეილ ჰობსი ჰანიბალ ლექტერმა(2013 წლის ვერსიაში) „იშვილა“, შემდეგ მასზე იძალადა ფსიქოლოგიურად და თავის მხარეს მოაქცია. ეზიგეილი დაუფიქრებლად უჯერებდა და თავადაც სწირავდა ადამიანებს მოსაკლავად.
ჯონ სიუარდი	ფრიდერიკ ჩილტონი
ჯონ სიუარდი იყო ფსიქიატრიული კლინიკის მთავარი ექიმი, თანაც ამბიციური პირი, რომელსაც ინტერვიუს ჩამორთმევა უყვარდა.	ფრიდერიკ ჩილტონი იყო ფსიქიატრიული კლინიკის მთავარი ექიმი, ამბიციური ადამიანი, რომელსაც სურდა ყველასგან – მით უმეტეს, განსაკუთრებული ადამიანებისგან – ინტერვიუს ჩამორთმევა და თავის ნაშრომებში გამოყენება.
რ. მ. რენფილდი	დოქტორი გიდეონი
რენფილდი იყო სიუარდის პაციენტი, რომელიც ასევე განსხვავდებოდა ყველასგან – იკვებებოდა მწერებით, ობობებითა და ჩიტებით, რადგან, მისი აზრით, ენერჯიას მატებდა. შერაცხულია გიჟად და დრაკულას დიდი გავლენა აქვს მასზე. რენფილდი კვდება, მაგრამ დრაკულა აცოცხლებს მას.	დოქტორი გიდეონი არის სერიული მკვლელი, ფრიდერიკ ჩილტონის პაციენტი, რომელიც ისეთივე ამორალურია, როგორც ჰანიბალი. დოქტორი გიდეონი თავს აღწევს ექიმისაგან, მაგრამ მაინც იჭერენ. ამასთანავე, გიდეონი სიკვდილს ებრძვის რაღაც მომენტში, მაგრამ ჰანიბალი იტაცებს და უნარჩუნებს სიცოცხლეს გარკვეული დროით.
ვან ჰელსინკი	უილ გრეკემი
ჰელსინკს უხმობენ, რათა დაეხმაროს ლუსის მისტიკურ დაავადებასთან ბრძოლაში. იგი აღწერილია, როგორც ადამიანი, რომელმაც იცის, რაზე ლაპარაკობს და რომელიც ერკვევა ფილოსოფიაში.	უილ გრეკემს(ფილმში/რომანში) უხმობენ, რათა გამოიკვლიოს ჰანიბალ ლექტერი და იპოვოს სერიული მკვლელი „წითელი დრაკონი“. სერიალში უხმობენ, რადგან მას აქვს განსხვავებული ხედვა – იგი ამჩნევს იმას, რასაც სხვები ვერ ხედავენ და შეუძლია შეაღწიოს მკვლელის გონებაში, ამიტომაც გამოსადეგი იქნება მკვლელის დასაჭერად.
	კლარის სტარლინგი
	კლარის სტარლინგს(ფილმში/რომანში) უხმობენ, რათა გამოეხმაროს და გამოსძალოს ჰანიბალ ლექტერს ინფორმაცია და

	იპოვოს/დააკავოს სერიული მკვლელი „ბუფალო ბილი“.
ჯონათან ჰარკერი	ჯეკ კროუფორდი
ჯონათან ჰარკერი არის ძლიერი პერსონაჟი, რომელიც კუდში დასდევს დრაკულას და ბოლოს კლავს მას.	ჯეკ კროუფორდი რომანში არაა აქტიური პერსონაჟი, მაგრამ სერიალში იგი გამომძიებელია და მებრძოლი. აქტიურად დასდევს „ჩესევიკის მფატრავს“ (ჰანიბალს) და ორთაბრძოლაშიც ერთვება რამდენჯერმე. მთავარ როლს თამაშობს ჰანიბალის „დამარცხებაში“.
მინა ჰარკერი	ალანა ბლუმი
მინა ჰარკერი არის დრაკულას ერთ-ერთი მსხვერპლი, ჯონათან ჰარკერის მეუღლე. იგი გრაფის გეგმების შესახებ იტყობს და იგეგმება დიდი ამბოხება მის წინააღმდეგ, რის გამოც დრაკულა განრისხდება, მინას რამდენჯერმე უკბენს და თავის სისხლსაც შეასმევს.	ალანა ბლუმი ლექტერის კოლეგაა, ფსიქიატრი, რომელიც აქტიურად მონაწილეობს „ჩესევიკის მფატრავის“ ძიებაში. იგი რაღაც დროით იქნება ჰანიბალ ლექტერის სექსუალური მეწყვილეც, მაგრამ ჰანიბალი მას დიდ ტრავმას მიაყენებს, რის გამოც ალანას სიკვდილთან ბრძოლა მოუწევს, თუმცა, ბოლოს გადარჩება ისევე, როგორც მინა ჰარკერი.

ბრემ სტოკერისა და თომას ჰარისის სამყაროებში თითქმის ყოველი პერსონაჟი – იქნება ეს გვერდითი თუ მთავარი – ჰგავს ერთმანეთს. თუმცა, იმის თქმა, რომ ჰანიბალი დრაკულას ოდნავ შეცვლილი ვერსიაა – მცდარი იქნება. შესაძლებელი და მართებულიც კია ითქვას, რომ გრაფი დრაკულა არის ჰანიბალ ლექტერის წინამორბედი/პირველსახე.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ბრემ სტოკერი 2013, *დრაკულა*. თბილისი, გამომცემლობა: პალიტრა L .
2. თომას ჰარისი 2022, *კრავთა დუმბილი*. თბილისი, ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა.
3. Bettina Gregory 2002. *Hannibal Lecter: The Honey in the Lion's Mouth*.
4. Koch, Walter A. 1993. *The Biology of Literature*. Bochum: Brockmeyer.

ვიდეომასალა:

1. *კრავთა დუმბილი*, ფილმი. 1991
2. *ჰანიბალი*, ფილმი. 2001
3. *ჰანიბალი*, სერიალი. 2013
4. *წითელი დრაკონი*, ფილმი. 2002